

ანალიტიკურ ტერმინთა სტრუქტურულ-სიმარტიკური
თავმცემულების

ცნობილია, რომ, ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით, ტერმინი ცნების უბრალო დასახელებას კი არ წარმოადგენს, არამედ გარკვეულ საკლასიფიკაციო სისტემაში მყოფ ცნებას წარმოგვიდგენს და მის შინაარსს გადმოგვცემს. ამიტომაცა, რომ ტერმინოლოგიურ პროცესთა რთულ წევბაში ტერმინს მნიშვნელობასა და სტრუქტურას შორის აზრობრუვა ურთიერთობის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ტერმინი სტრუქტურულად ისე უნდა იყოს იგებული, რომ რაც შეიძლება სრულად ასახავდეს ტერმინოლოგიური სისტემის იმ რთულ ორგანიზაციას, რომელსაც ცნებათა იერარქია ანუ ტერმინთა ლოგიკურს ემან ტიკურ რა სუბიტრანცია ეწოდება.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევა ტერმინთა ერთი სტრუქტურული ტიპი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ანალიტიკური ტერმინების, ანუ ანალიტიზმების სახელწოდებითაა ცნობილი¹.

ანალიტიკურია ტერმინი, როდესაც ამა თუ იმ სპეციალური ცნების განსახატვად ერთი სიტყვა კი არა აღებული, არამედ რამდენიმე სიტყვა, ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმა (იგივე ტერმინოლოგიური შესიტყვება), რომლის კომპონენტები ერთი რთული ცნების დასახულებას გვაძლევს (საბურღი ავტომატი, მანაწილებელი ლილვავი, საგლინი მანქანა, მარვი ქმედების კოუფიციენტი, მოცულობათი კუმშვის აღიაბატური მოლული და მრავალი სხვა).

ქალიტიკური ტერმინები გარკვეული სინტაქსური საშუალებებითაა შედგენილი. ესენია ძარითადად შაზმლვრელ-საზღვრულები, სადაც მსაზღვრელები, აზუსტებენ რა ძარითად სატერმინოებელ ცნებას სხვადასხვა წაშნას მიხედვით, ამ ცნებათა თოთქმის უსასრულო დილერენ-

¹ См.: В. М. Овчаренко, Термин, агалитическое наименование и номинативное определение: Современные проблемы терминологии в науке и технике. №, 1969, с. 94.

ცისცის საშუალებას იძლევიან. ასე, მაგალითად, შააჩლერელთა ვა-
რიაცის წყალობით სოფლის მცურნეობის ტერმინოლოგიაში² სიტყვა
ფუტკრის 46 სახეობაა წარმოდგენილი (ველური ფუტკარი, გრძელ-
ხორთუმი ფუტკარი, ქონდარა ფუტკარი, დიდი ფუტკარი, თაოფართო
ფუტკარი, მოღალე ფუტკარი, მეთაფლია ფუტკარი, ტყის მეთაფლია
ფუტკარი, ეული ფუტკარი, დაუფრენი ფუტკარი, მუშა ფუტკარი,
გუშაგი ფუტკარი, მაცნე ფუტკარი, ქურდი ფუტკარი, ძიძა ფუტკარი,
მშვერავი ფუტკარი, უედალი ფუტკარი, მრკველია ფუტკარი, მტკეპ-
ნელი ფუტკარი, მჭმედელი ფუტკარი, უნესტრო ფუტკარი, აფრიკე-
ლი ფუტკარი, ქართული რუსი მთას ფუტკარი და მრ. სხვ.), თევზების
რი-მდე დასახელებაა ონიშნელი³, ცხენების ასამდე სახეობაა მოცე-
მული⁴ და ა. შ.

ასეთ შესიტყვებებში ტალკაული კომპონენტი დამოუკიდებელი
შნიშვნელობის შექმნა, ხოლო შესიტყვების მთლიანი შნიშვნელობა
უდაბად შემცველ კომპონენტების შნიშვნელობათა ჯამს.

ანილიტიკურ ტერმინთ ამ ჯგუფს, რომელსაც სხვაგვარად თავი-
სუფალი ანუ და ნოტაციური შესიტყვები ბა ეწოდება. უპი-
რისპირდება სინთეზური ანუ იდიომატური ტერმინო-
ლოგიური გამოთქმები, რომელთა დაყოფა ცალკეულ ნაწი-
ლებად არ შეიძლება. ასეთ ტერმინებში გამოთქმის შნიშვნელობა კა-
რი უდის მისი კომპონენტების ჯამს, როგორც ეს შემოთ გვქონდა,
არამედ ყველა კომპონენტისაგან ერთო საერთო მნიშვნელობა გამო-
იყავნება. ისინი ძირითადად ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმების
სახელწოდებით არიან ცნობილი: ბერლინის ლუვარდი (იგივე რკინის
ლუვარდი), არქიმედეს პორბალი, ცხენის განედები (გეოფიზიკში)
და სხვ.

აქ ჩვენი მსჯელობის საგანი პირველი რიგის შედეგენილი ტერმი-
ნები, ანუ სინტაქსური გზით მიღებული ანალიტიზმები იქნება.

ეს აღწერითი (ორ- და მეტკომპონენტიანი) გამოთქმები ტერმი-
ნოლოგიაში იმავე ფუნქციას არსებულებენ, რასაც ერთსატყვიანი დასა-
ხელებები და ამ ტერმინოლოგიის ლექსიკური სისტემის განეყოფელ
ნაწილს შეადგენენ.

² სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბ., 1959. საქუთხრე „მეცნიერებების
ტერმინოლოგიაში“ ამ დასახელებათა ჩიცენი შეიძლება ბევრად მეტიც იყოს.

³ არჩ. ჯანაშვილი, თევზების ნომერულარური, თბ., 1975.

⁴ სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, 1959.

⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში „ფრაზეოლოგიში“ უფრო ფართო შნიშვნელო-
ბითაც გვხვდება, კრძალ, იგ კოველი ტერმინოლოგიურად რთული ენობრივი წარ-
მონაქმნის განსახატადც გვვილინება.

ანალიტიკურ ტერმინთა ბუნების, სემიანტიკისა და სტრუქტურის შესწავლა სპეციალისტ-ტერმინოლოგების განხვაურებულ ინტერესს იწყებს, რადგანაც მათი რიცხვი ამ თუ იმ დარღვის ტერმინოლოგიურ სისტემაში დიდზე დიდ პროცენტს ქმნის, ისინა რიცხობრივად შეუდარებლად მეტას, ვიზრე ერთაირუკიანი ტერმინები და პროცესტურულობის ხარისხის მიხედვით შევრჩდ აღმატება თუთ სალიტერატურო ენის შესიტყვებისთვის შესაძლებლობებს. თუ სალიტერატურო ენაში ახალ სიტყვათა შექმნის მთავარი წყარო ძირითადად ფიქსაციის მეშვეობით სიტყვათა წარმოება, ტერმინოლოგიაში სრულიად გარკვევით, სიტყვები ფიქსაციის პარალელურად, სინტეგრულ ა საშუალებებს ეძლევა უპირატესობა. სწორედ ეს შესიტყვებებია, რომლებიც, სხვა ნიშებთან ერთად, გამოიწვევს ტერმინოლოგიას საერთო ენისაგან, როგორც თვესითავად სისტემას.


ანალიტიკურ ტერმინთა ეს სიმრავლე ამა თუ იმ დარღვის ფუნქციური ამოცანებთათვის შეპირობებული. მათ უნარი აქვთ გადმოგვცენ ვრცელი ინფორმაცია და ახალი ენობრივი საწუალებებით გამოხატონ სანომინაციო ცნებათა რთული და ფართო დიაპაზონი.

ამგვარი ტერმინების წყარობით ყველა სახის დოკუმენტურიცემში (საკავშირო თუ რეპუბლიკურ კლასიფიკატორებში, რებრიკატორებში, სტანდარტებში და ა. შ.), საღაც ცნებათა ზედმიწევნით დეტალიზაცია წარმოდგენილი, დაუბრკოლებლივ ხერხდება ნებისმიერი ინფორმაციის რეალიზაცია და სათანადო შინაარსის აღეკვატური გადმოიცემა.

არატერმინოლოგიური და ტერმინოლოგიური სინტესური შესიტყვები არა მხოლოდ რიცხობრივად კანსხევადებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მა შესიტყვებათა გრამატიკული მოდელები და სემანტიკური ურთიერთობანი კომპონენტებს შორის თითქოს არ განსხვავდებიან საერთო ქრონიკის ორ- და მრავალწევრო გამომქმებისაგან, ტერმინოლოგიაში მათ გარკვეული სპეციფიკა ახასიათებთ, ეს, უპირველეს ყოვლისა, არია ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა ამორჩევითობის უნარი და სიტყვათა შემცველობის გამასაზღვრულობა. იგი საერთო ენის შესიტყვებათა მრავალფეროვნებიდან მხოლოდ ცალკეულ სახეებს აძლევს უპირატესობას და თანაც ისე. რომ ქმნის ტერმინოლოგიისთვის თავისებურ რეგულარულ მოდელებს.

მთავარი ნიშან-თვისება ტერმინოლოგიური განოთქმებისა, რომელსაც საგანვიხოდ უნდა გაესვას ხაზი, ის არას, რომ ისინი (ეს აღწერით ტერმინები) ცნებათა სისტემურობის გამოხატვის უნივერსალურ საშუალებადაა მიჩნეული. ცნებათა სისტემურობაში ვგულისხმობ შათს ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც მნიშვნელობათა გვარეობით-სახეობით ურთიერთობაზე ვლინდება: მაზრებრული სახეობითი ცნების გამომხატველია, საზღვრული კა — გვარეობითისა გამოთქმებ-

ში: ზედაპირის ბალანსი, ქმედითი ზედაპირის ბალანსი, რაღიაციული ქმედითი ზედაპირის ბალანსი — ტერმინი ბალანსი გვარეობით ცნებას აღნიშნავს, ხოლო მსაზღვრელები (ზედაპირის, ქმედითი, რაღიაციული) — სახეობით ცნების, ოღონდ ამ უკანასიკნელთა შორისაც გარკვეული დაქვემდებარებაა, რომელიც სქემის სახით ამგვარად უნდა წარმოიდგინოს:



ბალანსი გვარეობითი ცნების გამომხატველია, ზედაპირის ბალანსი კი — სახეობითისა. თავის მაჩივ, ზედაპირის ბალანსი მომდევნო გამოყენების პირზე იმ იმ ი იქნება, ანუ უფრო ზოგადი ცნების აღმნიშვნელი და, ამდენად, პირობითად — გვარეობითი ცნების გამომხატველი, ხოლო ბოლო კომბინაცია, საღაც ბალანსის კიდევ უფრო დეტალიზებული სახეობაა მოცემული, პირზე ნიშნევა, რაღვანაც იგი ქმედითი ზედაპირის ბალანსის სახეობითი ნაირგვარობაა.

ამგვარად, ცნებათა ზუსტი მნიშვნელობების დასაღენად, რაც განყენებულია კი არ ხდება, არამედ ამა თუ მი დარგის ცნებათა მთელს სისტემაში, ანუ სხვა ცნებებთა ლოგიკურ კავშირში, შედგენილი ტერმინები უთუოდ შარჯვე საშუალებაა და პრაქტიკულად ამ იმოცანის გადასაწყვეტილ შეტან მოხერხებული.

სემორდინაციის კიდევ უფრო ოვალსაჩინო მაგალითს გვიჩვენებს თ. კანდელაკის მიერ შემოთავაზებული სქემა, რომელიც ტემპბოების აღმნიშვნელ ტერმინთა საკლასიფიკაციოდაა შედგენილი.

ი. ასეთია ტემპბოთი კლასიფიკაციის იქრარქია, ის ლექსიკურ-სიმარტიკური ჯგუფები, რომლებიც ამ ტერმინთან დაკავშირებით გა-

6 Т. Л. Канделаки, Работа по упорядочению научно-технической терминологии и лингвистические проблемы, возникающие при этом: Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., 1970, с. 46.


მოყოფა, რაც ძირითადად ლექსიკალურზებული შესიტცვებებია საშუალებით ხორციელდება (იხ. სქემა).

სტრუქტურის მიხედვით წელგენილი ტერმინოლოგიური გამოაქმება ორ-, სამ- და მეტაომპონენტიანი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ, გავრცელებულია პინარული ანუ ორშემაღლენიანი ტერმინები. შედგენილ ტერმინების ელემენტებს შორის სანტიუსტრი ურთიერთობის თვალსაზრისით, ამათგან ყველაზე გავრცელებულია მსაზღვრელსაზღვრულიანი მოდელები (კაუვანი ქანი, გრძივი ზამბარა, მოლეკულის დაშლა, სიმძლავრის გადაწყვდნა, მოქცევის ციკლი, სტერეოტიპის ჩამოსასხმელი ავტომატი და სხვ.). ამათგან განსაკუთრებული აქტიურობით ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტერმინები ხასიათდება (დრუ აგური, ორნბით კოდი, გამოუწყლოებელი თაბაშირი, ნამუშევარი ჰაერი და სხვ.).

გარდა მსაზღვრელებისა, რთულ გამოთქმითა ცალკეულ კომპონენტებად, ანუ საზღვრულის თანხმები სიტყვებად შეიძლება სხვა სიტყვებიც გვევლინებოდეს, ძირითადად ზმინისართები, იმსტრუმენტალისი, ფორმები, თანდებულები, კავშირები და სხვ. (პირდაპირ შეერთება, ზედდებით ბმა, ცავთ ღუნგისას, გამოცდა სკლისას, ცეცხლით ჩამოწმენდა, რულონების თრად გაძყოლები, აირით შეღულება, პერსე შშრალი ავჭრი, სინისტესე განაგარიშება, დამხმარე ფაზით ამუშავება, ღუმელთან მომუშავე შეამწევებები, თევავიდ მინაზე დამზადებული ბეტონი, მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი აგური, ფასონური და გრძივი ჩარხები ავტომატი და სხვ.).

თანხმელებ ანუ დამაზუსტებელ სიტყვათა ტიპები შეიძლება ნარგვარი იყოს და მათგან შემდგარი სემანტიკური ჯგუფებიც — საგმაოდ ვრცელი. ისინი შეიძლება გამოხატვდნენ სხვადასხვა პროცესების, სამუშაო იარაღების — დანაღვარების, აგრეგატების, პარატების, რანქენების, ხელსაწყოებისა და მისთანათა დასახელებებს, მოუთათებდნენ ამ თუ იმ საგნის მასალისე, ფორმსა და ფერზე, მათს დანიშნულებაზე, აღნიშნავდნენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებს, ერთი სიტყვით, აზუსტებდნენ მოცემული ცნების ძირითადსა და პერიფერიულ ნაშებს. ანალიტიკურ ტერმინებს მოეკუთვნება გვარისაგან მოდინარე ტერმინებიც, ე. წ. ეპონიმები, რომლებშიც რთული სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტი საკუთარ სახელს წარმოადგენს და მომდინარეობს გამომგონებლის, ხალხის, ადგილისა და მისთანათა სახელწოდებებისაგან (ფრინჯლინის პარატი, რიგა-ლედიუკის ეფექტი, მორზეს ანბანი, გაუსის ხმაური და სხვ.).

როგორი სემანტიკისა და რა წარმომავლობისაც უნდა იყოს ეს ლექსიკულიზებული ტერმინოლოგიური გამოთქმები, მათი არსებო-



შა რეალობაა ტერმინოლოგიაში და სხვა ლინგვისტურ პრობლემთა შორის სათანადო ასახვა უნდა პოვონ.

ანალიტიკურ ტერმინთა დასახასიათებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მთელი სემანტიკური სტრუქტურა გამჭვირვალია, რადგანც მა-
გარ ტერმინებს მოტივაციის განსაკუთრებული სიცხადე ახასიათებთ; უსიტყვებაში თითოეულ კომპონენტს თავისი გარკვეული მნიშვნე-
ლობა აქვს და მთელი გამოიქვეშა ზედმიწევნითი სიზუსტით ახერხებს ცნებაშე სწორ ორიენტაციას.

ამას გარდა, რომელ ტერმინოლოგიურ გამოთქმებს სხვა უპირა-
ტესობაც აქვთ. ისინი, არატერმინოლოგიური გამოთქმებისაგან გან-
სხვავებით, არ ხასიათდებიან სინონიმით (ცოველ შემთხვევაში, ძალიან
იშვიათად)⁷. ამას კი ტერმინოლოგიისათვის არცოუ მცირე მნიშვნე-
ლობა აქვს, რადგანაც ნაუნისა და აღსანიშნის იზომორფიზმი, ანუ
ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიეროვალსახა დამოკიდებულება,
ერთ-ერთი მთავარი პირობაა წყვიბრი ტერმინოლოგიური სისტემის
შესაქმნელად.

აღსანიშნებ სწორი ორიენტაცია, მოტივაციის სიცხადე და სინო-
ნიმის გაჩერების ნიკლუტი შესაძლებლობა — აი, ყველა ის ძირითადი
ნიშანი, რომლებითაც ანალიტიკური გამოთქმები ხასიათდება.

სწორედ ამით უნდა აისხებოდეს ის ფაქტი, რომ ტერმინოლო-
გიურ პრატიკაში ეს წედვებისა ტერმინები უხვადაა შემოტანილი
და ხავმაოდ დიდი გაფრაგილებისაა.

მიუხედავად იმ თვასტებებისა, რომლებზედაც ჩემოთ იყო საუ-
ბარი, ტერმინოლოგიურ გამოთქმებს ანუ ზესიტყვებებს გარკვეული
ნიკლოვანი მხარეებიც ახლვენ. ნომინაციის მოტივირებულობა და შე-
საბამის ცნებაზე სწორი ორიენტაციის უნარი თუმცა მნიშვნელოვანი
სემასოლოგიური უპირატესობითა, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს
ეს ორიენტირად, რომელიც საქმარისი იქნებოდა იდეალური ტერმინი-
სათვის. ყოველი ტერმინი (ანალიტიკურ იქნება თუ სინოუზერი), ბე-
ნებრივია, მა სერთო შოთხოვნების უნდა იყმაყოფილებდეს, რომლებიც
სამეცნიერო ტერმინს წაეყენება. ტერმინი, ჩამოვლილ პაპასიათებ-
ლებთან ერთად, უნდა იყოს სხარტი, ეკონომიკური და პრონდეს სიტ-
ყვაწარმოების განსაკუთრებული უნარი. ანალიტიკური ტერმინები კი
რომელი სემიოტური წარმონაქმნებია, მოუქნელი და ძნელად მოსა-
ხვიანია, ახალ ტერმინთა საშაროოებლად კი — თითქმის გამოუყენებე-
ლი. მგვარი გამოთქმები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ტერმი-

⁷ С. Д. Береснев. О терминологической фразеологии: Вопросы частной лингвистики (труды кафедры иностранных языков), Свердловск, 1960, с. 135—136.

ნოგრაფიაში ლექსიკოგრაფიული ოლტერისას, როდესაც საჭირო ხდება ლექსიკონში მათი ინგერსიელი წერობით რეკიტრირება.

ეს სირთულე კიდვე უფრო სავრძნობია, როდესაც ბინარული გამოთქმის წევრებს, თავის მხრივ, ხელავს სხვა ამხსნელი სიტყვები, უ. ი. როდესაც გამოთქმა ორზე მეტყომლნენტიანია, სადაც არაერთგვაროვანი განსაზღვრებები დამოუკიდებლად განსაზღვრავს ერთ საზღვრულს და თვითონ ეს განსაზღვრებები ერთმანეთთან არ ქმნიან სინტაგმას.

ამგვარ რთულყომპონენტიან გამოთქმებში, დადაც თუალში საცემია სიტუათა განლაგების ორაბუნებრიობა, ვრცელი ტერმინოლოგიური შესიტუაციებები მრავალმხრივ დაბრულებებს წყდება. ინგერსიის ერთნაირად არ ემორჩილება ანალიტიკური გამოთქმის ყველა რეოლი; სპირო ხდება მთლიანი ფრაზის სეგმენტაცია ძირითად ინუ საყრდენ გამოთქმებად და მათთვის დაყავშირებულ პერიფერიული მნიშვნელობის მატარებელ ელმენტებად.

დღემათვის ლექსიკოგრაფიულის ეს ფორმალური მეთოდები, რომლებიც მრავალყომპონენტიან ტერმინოლოგიურ გამოთქმებს უკავშირდება, ჯეროვნად დამუშავებული არა და ეს საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტის საჭიროებს.⁸

ანალიტიკურ ტერმინთა მოუწეველობა, მათი არაკომპაქტურობა არის მიზეზი იმისა, რომ ენაში თავა იჩენს ტენდენცია ნითი კონდენსაციისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოთქმაში შემავალ მორცემათა რიცხვი მცირდება, რამდენიმე კომპონენტი ერთ მთლიან წარმონაქმნად ერთიანდება, ე. ი. კომპოზიტიდ იქცევა, ხოლო მნიშვნელობა უცვლელი რჩება. ეს ტენდენცია ვაკომპოზიტებისა საერთო ქართულშიც გამოკვეთილია, მაგრამ პროდუქტიულობა ტერმინოლოგიაში იმდენად სავრძნობია, რომ სიერთო სალიტერატურო ენისა და ტერმინოლოგიის შეპირისპირებისას საგანგებოდ ტერმინის ამ სტრუქტურულ თეოსებაზეც მიუთავებენ.

ტერმინოლოგიაში რთულ სიტუათა შედგენის ინტენსიური პროცესი, რომელიც დამახსინოებელია როგორც ქართული, ისე სხვა ენების ტერმინოლოგიური სისტემებისათვის, განსაუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც იგი ურთულეს ცნებათ მნიშვნელობის შედარებით კომპაქტურად გადმოცემის შესაძლებლობას ძლიერა, და,

⁸ დაწერილებით მის შესხებ იხ. ჩ. და გ. გ. შიძიას „საქონელშიცოდნების ტერმინოლოგია და მი დარგის ტერმინთა ლექსიკოგრაფიული უკავშირების ზოგი სიკითხი“; იყვ. XXXI, 1992, გვ. 170—185; ამავე სიკითხებს ეხება ნ. ბურგულის „ტერმინოლოგიური გამოთქმათა სტრუქტურული ტაბები ტერმინიური ტერმინოლოგიის მასალაზე“: ქსეს, X, 1991.

თანაც, ისე, რომ რელიეფურად იყოს წარმოჩენილი სიტყვის მოტივი-ცია, მისი შინაგანი ფორმის გამჭვირვალობა.

განსაკუთრებულ მიღრეკილებას გაყომბოზიტებისაღმი თარსიტყვი-ანი (შამანდღორელ-საზღვრულონი) გამოთქმები აჩენენ, თუმცა არცთუ ცოტაა მაგალიერი მრავალწევრა გამოთქმებშიც სიტყვათა შერწყმისა.

ამ თვალსაზრისით რომ შევუდაროთ ერთმანეთს აღრე გამოცე-მული და მძიმედელი ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ვნახავთ, რომ პროცესი გაყომბოზიტებისა დღეს გაცილებით შეტი ინტენსუ-რობით ხსიათლები:

| იყო: | ირს: |
|----------------------------------|--|
| ხე-ტყის საზოდი | ხეტყესაზიდი |
| სიღრმის სახომი | სიღრმესახომი |
| ტალღის საზომი | ტალღასაზომი |
| ელექტრული გადაცემი | ელექტროგადაცემა |
| ბერლვა კერნის აუღებლად | კერნაულებული ბურლვა |
| ფორმეტრის ტოლკონტრასტული ვალებით | ტოლკონტრასტულებიანი ფო-რმეტრი და ა. შ. |

კონცენტრის გზით მიღებული ტერმანებიდან ყურადღებას იქ-ავს ქიმიის ტერმინოლოგიაში გამოყენებული რაულ სიტყვათა მო-დელები. ნიმუშისათვის საქმარისი იქნებოდა დაგვესახელებინა ტერ-მან მუავას შემცველი ორ-, სამ- და მეტკომპონენტური რაული სიტ-ყვები, რომლებიც კონცონტიციის საშუალებითა შედგენალი:

მარმევა (შვ. уксусная кислота), გვერდმევა (серная кислота), ლიმონმევა (лимонная кислота), შარდმევა (мочевая кислота), აზოტ-მევა (азотная кислота), ნახშირმევა (угольная кислота), ლორწომევა (слизевая кислота), ჟყალბადფორმევა (сероводородная кислота), ჰიაფერმევა (карминовая кислота) ეთილფენილბარბიტურმევა (этилфе-ნилбарбитуровая кислота) და სხვ.¹⁰

მრავალკომპონენტურიან გამოთქმათა კონცენტრის ნიმუშად გა-მოდგება იბრევიატურებიც, რომლებიც შეიძლება მოელი ფრაზის შა-ნაარსაც გაღმოვცემდეს (ნეილონი, ლაზერი, მაზერი და მისთანაონ).

⁹ ანალოგიური იაბლი წარმოებანი უსასრულოდ შეიძლება გაიზარდოს ცალკეული ტერმინების მაგალითზე — ფამიცემული თუ გამოსაცემად მიმზადებული ტერმი-ნოლოგიური ლექსიკონებიდან.

¹⁰ 1970 წელს გამოცემულ „ქიმიის ტერმინოლოგიაში“ 250 საეთო ერთეული-დან (მეტებს დასახლებებიდან) თავქმის ყველა ანგარიზაა ნაწარმოება. დასახლე-ბულ წიგნში უხვადა მოცემული ამ რეგის სხვა მაგალითებიც.

არანაკლებ ინტერესს იშვევს ტერმინოლოგიაში რთული სიტყვის ის მოდელები, რომლებიც აფიქსოდების (პრეფიქსოდებისა და სუ-ფიქსოდების) საშუალებით შეღვენილი¹¹.

სისუსტისა და ობიექტზე სწორი ორიენტაციის თვალსაზრისით კონდენსაციის გზით მიღებული კომპოზიტები ისევე აქმაყოფილებენ ტერმინისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, როგორც ფრაზეთლოვაზ-მები ანუ შესიტყვებები. მასთანვე, იმგვარივე ინფორმაციულობით ხსიათდებიან, როგორც ეს უკანასკნელები.

ზოგადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაფეოდეს ამ ენობრივ პრო-ცესთან დაკავშირებით, ასეთი შეიძლება იყოს:

რთულ სიტყვათა შეღვენის ქართულ სამეცნიერო ტერმინოლო-გიაში ძირითადად საერთო სალიტერატურო ენის საშუალებები უდევს საუკეთელად, ამიტომ ტერმინოლოგიისათვის არა უცხო რთული სიტ-ყვის არც ერთი მოდელი. მიუხედვად ამისა, ტერმინოლოგიაში შესიტ-ყვებათა რთულ სიტყვებიდ ქცევის პროცესები, რომლებიც უჩვეულო ინტენსიურობით ხსიათდება, მაინც საგანგებო შესწავლის საგანი უნ-და გახდეს. სისტემურად უნდა იქნეს აღრიცხული კონდენსაციის რე-გულარული მოდელები ცალკეული დარგების მიხედვით, უნდა გაირ-კვეს გამოთქმაზი შემავალი კომპანენტების თანამიმდევრობის საკი-ონები, დამუშავდეს ანალიტიზმების გაკომპოზიტების ფორმალური მეთოდები.

11 ამაზე აქ ათარ შევჩერდებით, რადგანაც იგი საკმაოდ პრცედადა ჩევნ მაერ განხილული (იხ. ჩ. ღამბაშიძე, სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შეღვენის ძირითადად პრინციპები. 1986, გვ. 142—164).